მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი N18

ქ. წალენჯიხა 29 სექტემბერი 2015 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა:
საკრებულოს თავმჯდომარე: თემურ ღვინჯილია

საკრებულოს 29 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 25 დეპუტატი: გონერ კვარაცხელია, ასმათ კვარაცხელია, ვლადიმერ გაბელია, დალი კვარაცხელია, ილია გულუა, ანზორ ფიფია, ვახტანგ ქუჩულორია, მერაბ კვარაცხელია, დავით ბელქანია, ავთანდილ გაბელია, ნესტან გოგოხია, ივერ კვარაცხელია, ბაჩუკი უბილავა, მალხაზ ფიფია, დავით ფიფია, ლევან შელია, ცოტნე მესხია, კობა შანავა, ვლადიმერ კვარცხელია, ბორის კვარაცხელია, ნონა კვარაცხელია, მარინა კალანდია, კახაბერ ციმინტია, დავით ჭიჭინაძე.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოგა გულორდავა, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის, მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურების, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები.

სხდომა დაიწყო: 12:00სთ.
სხდომა დასრულდა: 13 : 00 სთ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი.
საკრებულოს წევრების მიერ სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე საკრებულოს წევრემა მარინა კალანდიამ მოითხოვა დღის წესრიგით გათავლისწინებულ სხვადასხვა საკითხზე განცხადებისთვის დროის დათმობა.

სხდომის დღის წესრიგის დამტკიცებასთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით ერთხმად იქნა დამტკიცებული (მიღებულიქნა განკარგულება N54)

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 სექტემბრის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების თაობაზე.

მომხსენებელი:თემურ ღვინჯილია–საკრებულოს თავმჯდომარე

2. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის N 63 დადგენილებაში

ცვლილების შეტანის შესახებ;
მომხსენებელი: კორნელ კვარაცხელია –გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

3. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
მომხსენებელი: ვლადიმერ გაბელია- მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე

4. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 ივლისის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
მომხსენებელი: ვლადიმერ გაბელია- მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე

5. „საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 სექტემბრის N44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
მომხსენებელი: ვლადიმერ გაბელია- მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე

6.მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.
მომხსენებელი: ხვიჩა მებონია-გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

7. სხვადასხვა

მოისმინეს: 2. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის N 63 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

საკითხი წარმოადგინა გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნულმა პირმა გამგეობის საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა კორნელ კვარაცხელიამ.
საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.
სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ.ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.
ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 22 დეპუტატი, წინააღმდეგი 3 – კახაბერ ციმინტია, მარინა კალანდია, ავთანდილ გეგელია) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N39) .

მოისმინეს: 3. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საკითხი წარმოადგინა სამანდატო,იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ვლადიმერ გაბელიამ.
საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.
სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ.ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან

დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.
ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 22 დეპუტატი, წინააღმდეგი 3 – მარინა კალანდია, კახაბერ ციმინტია, ავთანდილ გაბელია.) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N40)

მოისმინეს: 4. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 ივლისის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

საკითხი წარმოადგინა საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო სახითხთა კომისიის თავმჯდომარემ ვლადიმერ გაბელიამ.
საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.
სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ.ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.
ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 22 დეპუტატი, წინააღმდეგი 3 – კახაბერ ციმინტია, მარინა კალანდია, ავთანდილ გაბელია) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N41)

მოისმინეს: 5. „საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 სექტემბრის N44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საკითხი წარმოადგინა საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო სახითხთა კომისიის თავმჯდომარემ ვლადიმერ გაბელიამ.
საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.
სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ.ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.
ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 22 დეპუტატი, წინააღმდეგი 3 – კახაბერ ციმინტია, ,მარინა კალანდია, ავთანდილ გაბელია) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N42)

მოისმინეს: 6 . მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.

საკითხი წარმოადგინა გამგეობის მიერ მომხსენებლად დანიშნულმა პირმა გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა ხვიჩა მეზონიამ.
საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ.ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან

დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 23 დეპუტატი, წინააღმდეგი 2 – კახაბერ ციმინტია, ავთანდილ გაბელია.) მიღებულიქნა

შესაბამისი განკარგულება (N55)

დღის წესრიგით განსაზღვრულ საკითხში „სხვადასხვა“ საკრებულოს წევრმა მარინა კალანდიამ გააკეთა განცხადება. განცხადებაში იგი შეეხო ობუჯის ადმინისტრაციულ ერთეულში ობუჯის ცენტრში არსებული საბავშვო ბაღამდე სოფლის ცენტრიდან შორს მცხოვრები ბაღის აღსაზრდელების ტრანსპორტირების საკითხს და ობუჯის სამედიცინო ამბულატორიის ენერგოწყაროთი უზრუნველყოფას. ამასთან ქ.ნ მარინა კალანდიამ უკმაყოფილება გამოხატა გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისადმი, წყლის დაქსელვის გამო, რაც გამოიხატა წყლის მრიცხველების ფასის გაზრდაში. მან მოუწოდა ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელობას დასმული პრობლემების დროული მოგვარებისკენ.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სხდომის თავმჯდომარე: **თემურ ღვინჯილია**

საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA

5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; tgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა 29 სექტემბერი 2015 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N54

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 სექტემბერის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"–ს 24–ე მუხლის, მეორე ნაწილის და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად,

I. დამტკიცდეს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 29 სექტემბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი შემდეგი რედაქციით:

1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 სექტემბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების თაობაზე;

მომხსენებელი: თემურ ღვინჯილია–მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

2.„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის N 63 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მომხსენებელი: კორნელ კვარაცხელია –გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

3. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: ვლადიმერ გაბელია- მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე

4. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 ივლისის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მომხსენებელი: ვლადიმერ გაბელია- მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე

5. „საჯარო ინფორმაციის პროქტიული გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 სექტემბრის N44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: ვლადიმერ გაბელია- მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე

6.მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ხვიჩა მებონია-გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

7. სხვადასხვა

II. განკარგულება ძალაშია კანონით დადგენილი წესით, გაცნობისთანავე.

III. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზუგდიდი, გრ.ქობალია ქ. 12).

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: თემურ ღვინჯილია

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №39

2015 წლის 29 სექტემბერი

ქ. წალენჯიხა

„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხისმუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის №63 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ 69-ე და მე-80 მუხლების და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად დასაქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 სექტემბრის№1881 განკარგულების საფუძველზე, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის №63 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 30/12/2014, სარეგისტრაციო კოდი:190020020.35.104.016209) შეტანილიქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის №39 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 სექტემბრის №1881 განკარგულებით წალენჯიხის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 2543057.0 ათასი ლარსა და „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის №39 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2015 წლის 16 ივნისის №1234 განკარგულებით გამოყოფილ 2599861.0 ათას ლარს შორის სხვაობით – 56804.0 ათასი ლარით შემცირდეს ბიუჯეტის შემოსულობების „გრანტების“ მუხლის „რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი“ ქვემუხლი და 2015 წლის ბიუჯეტის შემოსულობების ნაწილი, ნაცვლად 11660.1 ათასი ლარისა, განისაზღვროს 11603.3 ათასი ლარით (წლის დასაწყისისათვის არსებული ნაშთის 1241.1 ათასი ლარის ჩათვლით);

ბ) შესაბამისად, სხვაობის თანხით – 56804 ლარით შემცირდეს ბიუჯეტის გადასახდელების ნაწილი და ნაცვლად 11660.1 ათასი ლარისა, განისაზღვროს 11603.1 ათასი ლარით.კერძოდ, შემცირდეს ბიუჯეტის გადასახდელების შემდეგი მუხლები:

ბ.ა) „გამგეობის“ არაფინანსური აქტივების მუხლი (კულტურის სახლების რეაბილიტაციის საპროექტო სამუშაოები) – 28220.0 ლარით;

ბ.ბ) „საცხოვრებელი კორპუსების გადახურვა, ფასადების შეღებვა და ტერიტორიების კეთილმოწყობის“ მუხლი – 14013.0 ლარით;

ბ.გ) „წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის“ მუხლი – 7782.0 ათასი ლარით;

ბ.დ) „გამგეობის“ არაფინანსური აქტივების მუხლი (ქ. ჯვარის კულტურის სახლის რეაბილიტაცია) – 6789.0 ლარით.

მუხლი 2.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 ივლისის №45 განკარგულების საფუძველზე, მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 12 აგვისტოს №2–1/350 ბრძანებით დაფუძნებული ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „სქური“–ს დაფინანსების და სხვა სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობის მიზნით, განხორციელდეს ბიუჯეტის მუხლებს შორის თანხების გადანაწილება. კერძოდ:

ა) შემცირდეს:

ა.ა) გამგეობის „საქონელი და მომსახურების“ მუხლი (ორგ.კოდი 0102) – 10.0 ათასი ლარით;

ა.ბ) „თავდაცვის ღონისძიებების“ მუხლი (ორგ. კოდი 0202) –5.0 ათასი ლარით;

ა.გ) „სასოფლო-სამეურნო მიწის საკადასტრო აზომვითი სამუშაოების“ მუხლი(ორგ. კოდი 0303) – 20.0 ათასი ლარით:

ა.დ)ქ. წალენჯიხის ცენტრალური პარკისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა(ორგ. კოდი 0202) – 25.0 ათასი ლარით.

ბ) გაიზარდოს სპორტის განვითარების ხელშეწყობის მუხლი (ორგ. კოდი 0501) – 60.0 ათასი ლარით. მათ შორის:

ბ.ა) სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (სასპორტო ცენტრი) – 20.0 ათასი ლარით;

ბ.ბ) ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი „სქური“–ს დაფინანსება – 40.0 ათასი ლარით.

მუხლი 3.

ამ დადგენილების პირველი და მე-2 მუხლების გათვალისწინებით (წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი) დადგენილების დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.

მუხლი4.

დადგენილებაამოქმედდესგამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **თემურ ღვინჯილია**

დანართი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

თავი I

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა			2015 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	**10,523.7**	9424.3	3826.7	5,597.6	**10 275,2**	**3 938,5**	**6 336,7**
გადასახადები	**2,085.5**	1,502.7	0.0	1,502.7	**1 300,0**	**0,0**	**1 300,0**
გრანტები	**8,103.5**	7536.6	3826.7	3,709.9	**8 585,2**	**3 938,5**	**4 646,7**
სხვა შემოსავლები	**334.8**	385.0	0.0	385.0	**390,0**	**0,0**	**390,0**
ხარჯები	**6,924.1**	6599.1	1283.7	5,315.4	**8 093,1**	**1 834,4**	**6 258,7**
შრომის ანაზღაურება	**1,548.5**	1,709.7	0.0	1,709.7	**1 442,0**	**0,0**	**1 442,0**
საქონელი და მომსახურება	**645.5**	725.5	66.6	658.9	**854,2**	**146,1**	**708,1**
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	**0.0**	0.0	0.0	0.0	**0,0**	**0,0**	**0,0**
პროცენტი	**8.0**	7.0	0.0	7.0	**0,0**	**0,0**	**0,0**
სუბსიდიები	**1,937.0**	2,351.7	0.0	2,351.7	**2 956,0**	**0,0**	**2 956,0**
გრანტები	**0.0**	0.0	0.0	0.0	**310,6**	**0,0**	**310,6**
სოციალური უზრუნველყოფა	**344.1**	720.5	182.4	538.1	**692,0**	**0,0**	**692,0**

სხვა ხარჯები	2,441.0	1057.7	1007.7	50.0	1 838,3	1 688,3	150,0
საოპერაციო სალდო	3,599.6	2,825.2	2,543.0	282.2	2 182,1	2 104,1	78,0
არაფინანსური აქტივების ცვლილება	3,033.5	3,386.7	3,104.5	282.2	3 423,2	3 345,2	78,0
ზრდა	3,089.7	3,441.7	3,104.5	337.2	3 510,2	3 345,2	165,0
კლება	56.2	55.0	0.0	55.0	87,0	0,0	87,0
მთლიანი სალდო	566.1	-561.5	-561.5	0.0	-1 241,1	-1 241,1	0,0
ფინანსური აქტივების ცვლილება	566.1	-561.5	-561.5	0.0	-1 241,1	-1 241,1	0,0
ზრდა	572.0	0.0	0.0	0.0	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	572.0	0.0		0.0	0,0		0,0
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.0	0.0	0.0	0.0	0,0	0,0	0,0
სესხები	0.0	0.0	0.0	0.0	0,0	0,0	0,0
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0	0,0	0,0	0,0
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0.0	0.0	0.0	0.0	0,0	0,0	0,0
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0.0	0.0	0.0	0.0	0,0	0,0	0,0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	0.0	0.0	0.0	0,0	0,0	0,0
კლება	5.9	561.5	561.5	0.0	1 241,1	1 241,1	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	5.9	561.5	561.5	0.0	1 241,1	1 241,1	0,0
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.0	0.0	0.0	0.0	0,0	0,0	0,0
სესხები	0.0	0.0	0.0	0.0	0,0	0,0	0,0
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0	0,0	0,0	0,0

სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0.0	0.0	0.0	0.0	0,0	0,0	0,0
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0.0	0.0	0.0	0.0	0,0	0,0	0,0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	0.0	0.0	0.0	0,0	0,0	0,0
ვალდებულებების ცვლილება	0.0	0.0	0.0	0.0	0,0	0,0	0,0
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0,0	0,0	0,0
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0,0	0,0	0,0
საშინაო	0.0	0.0	0.0	0.0	0,0	0,0	0,0
კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0,0	0,0	0,0
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0,0	0,0	0,0
საშინაო	0.0	0.0	0.0	0.0	0,0	0,0	0,0
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0,0	0,0	0,0

მუხლი 2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება შემდეგი რედაქციით:

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა			2015 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	10,579.9	9479.3	3826.7	5,652.6	10 362,2	3 938,5	6 423,7
შემოსავლები	10,523.7	9424.3	3826.7	5,597.6	10 275,2	3 938,5	6 336,7
არაფინანსური აქტივების კლება	56.2	55.0	0.0	55.0	87,0	0,0	87,0
ფინანსური აქტივების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0,0	0,0	0,0

ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0,0	0,0	0,0
გადასახდელები	10,013.8	10040.8	4388.2	5,652.6	11 603,3	5 179,6	6 423,7
ხარჯები	**6,924.1**	6599.2	1283.7	5,315.4	8 093,1	1 834,4	6 258,7
არაფინანსური აქტივების ზრდა	**3,089.7**	3,441.7	3,104.5	337.2	3 510,2	3 345,2	165,0
ნაშთის ცვლილება	566,1	-561.5	-561.5	0.0	**-1,241,1**	**-1,241,1**	**0,0**

მუხლი 3. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 10275.2 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა			2015 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	**10,523.7**	9424.3	3826.7	5,597.6	**10 275,2**	**3 938,5**	**6 336,7**
გადასახადები	**2,085.5**	1,502.7	0.0	1,502.7	**1 300,0**	**0,0**	**1 300,0**
გრანტები	**8,103.5**	7536.6	3826.7	3,709.9	**8 585,2**	**3 938,5**	**4 646,7**
სხვა შემოსავლები	**334.8**	385.0	0.0	385.0	**390,0**	**0,0**	**390,0**

მუხლი 4. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 1300.0 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა			2015 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები

გადასახადები	2,085.5	1,502.7	0.0	1,502.7	1 300.0	0.0	1 300.0
ქონების გადასახადი	2,085.5	1,502.7	0.0	1,502.7	1 300.0	0.0	1 300.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1,803.6	1,352.7		1,352.7	1 200.0		1 200.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1.6	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	0.5	0.0			0.0		
არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქოენბაზე	1.1	0.0			0.0		
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	69.3	50.0	0.0	50.0	50.0	0.0	50.0
ფიზიკურ პირებიდან	7.5	0.0			0.0		
იურიდიულ პირებიდან	61.7	50.0		50.0	50.0		50.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	213.6	100.0	0.0	100.0	50.0	0.0	50.0
ფიზიკური პირებიდან	2.7	0.0			0.0		
იურიდიულ პირებიდან	210.9	100.0		100.0	50.0		50.0
სხვა გადასახადები ქონებაზე	-2.6	0.0			0.0		
სხვა გადასახადები	0.0	0.0			0.0		

მუხლი 5. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გრანტები

განისაზღვროს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 8585.2ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა			2015 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	8,103.5	7,536.6	3,826.7	3,709.9	8 585,2	3 938,5	4 646,7
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	8,103.5	7,536.6	3,826.7	3,709.9	8 585,2	3 938,5	4 646,7

ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	2,251.4	3,709.9	0.0	3,709.9	4 646,7	0,0	4 646,7
გათანაბრებითი ტრანსფერი	2,081.4	3,531.9		3,531.9	4 468,7		4 468,7
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	170.0	178.0		178.0	178,0		178,0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	5,852.1	3,826.7	3,826.7	0.0	3 938,5	3 938,5	0,0
სულ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	4,991.5	2,834.8	2,834.8		3 043,1	3 043,1	
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	860.6	882.5	882.5		895,4	895,4	0,0
მთავრობის სარეზერვო ფონდი		0.0			0,0	0,0	0,0
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ფონდი	0.0	109.4	109.4		0,0	0,0	

მუხლი 6. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები **390.0** ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა			2015 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	334.8	385.0	0.0	385.0	390,0	0,0	390,0
შემოსავლები საკუთრებიდან	212.4	202.0	0.0	202.0	200,0	0,0	200,0
პროცენტები	26.5	30.0		30.0	0,0		0,0
დივიდენდები	0.0	0.0			0,0		
რენტა	185.9	172.0	0.0	172.0	200,0	0,0	200,0

მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	185.0	170.0		170.0	200,0		200,0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	0.9	2.0		2.0	0,0		
სხვა არაკლასიფიცირებული რენტა	0.0	0.0			0,0		
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	**45.3**	**48.0**	**0.0**	**48.0**	**70,0**	**0,0**	**70,0**
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	**19.8**	**17.4**	**0.0**	**17.4**	**20,0**	**0,0**	**20,0**
საერთო-სახელმწიფოებრივი სალიცენზიო მოსაკრებელი	0.0	0.0			0,0		
სანებართვო მოსაკრებელი	2.1	1.0		1.0	0,0		
სახელმწიფო ბაჟი	0.0	0.0			0,0		
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0.0	0.0			0,0		
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0.8	0.0			0,0		
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	0.0	0.0			0,0		
კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არიალის ინფრასტრუქტურის ადგილობრივი მოსაკრებელი	0.0	0.0			0,0		
ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის	0.0	0.0			0,0		
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	17.0	16.4		16.4	20,0		20,0
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	0.0	0.0			0,0		
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	**25.5**	**30.6**	**0.0**	**30.6**	**50,0**	**0,0**	**50,0**
შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	0.0	0.0			0,0		
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	25.5	30.6		30.6	50,0		50,0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	**77.1**	**135.0**		**135.0**	**120,0**		**120,0**

ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	0.0	0.0			0,0		
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	0.0	0.0			0,0		

მუხლი 7. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 8093.1ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა			2015 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთა შემოსავ
ხარჯები	**6,924.1**	5 506.6	286.0	5 220.6	**8 093,1**	**1 834,4**	**6 258,**
შრომის ანაზღაურება	**1,548.5**	1 709.7	0.0	1 709.7	**1 442,0**	**0,0**	**1 442,**
საქონელი და მომსახურება	**645.5**	703.5	44.6	658.9	**854,2**	**146,1**	**708,1**
პროცენტი	**8.0**	7.0	0.0	7.0	**0,0**	**0,0**	**0,0**
სუბსიდიები	**1,937.0**	2 234.0	0.0	2 234.0	**2 956,0**	**0,0**	**2 956,**
გრანტები	**0.0**	0.0	0.0	0.0	**310,6**	**0,0**	**310,6**
სოციალური უზრუნველყოფა	**344.1**	628.1	100.0	528.1	**692,0**	**0,0**	**692,0**
სხვა ხარჯები	**2,441.0**	224.3	141.4	82.9	**1 838,3**	**1 688,3**	**150,0**

მუხლი 8. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

1.განისაზღვროს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა **3510.2** ათასი ლარის ოდენობით თანდართული რედაქციით:

პროგ. კოდი	დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა		2015 წლის გეგმა	
			სულ	მათ შორის	სულ	მათ შორის

				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
0100	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	34.7	274.7	250.0	24.7	775,7	715,7	60,0
0200	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
0300	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	3,055.0	3 189.0	2 876.5	312.5	2 734,5	2 629,5	105,0
0400	განათლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
0500	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

2. განისაზღვროს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება **87.0** ათასი ლარის ოდენობით თანდართული რედაქციით:

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა			2015 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები

არაფინანსური აქტივების კლება	56.2	55.0	0.0	55.0	87,0	0,0	87,0
ძირითადი აქტივები	18.0	15.0		15.0	37.0		37.0
არაწარმოებული აქტივები	38.1	40.0	0.0	40.0	0.0	0.0	0.0
მიწა	38.1	40.0		40.0	50.0		50.0

მუხლი 9. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში თანდართული რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა			2015 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1,719.7	2,151.0	321.6	1,829.4	2 821,9	861,8	1 960,1
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	1,667.3	2,079.4	250.0	1,829.4	2 660,8	715,7	1 945,1
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1,667.3	2,039.4	250.0	1,789.4	2 624,8	715,7	1 909,1
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	71.6	71.6	0.0	36,0	0,0	36,0
7013	საერთო დანიშნულების მომსახურება	52.4	71.6	71.6	0.0	161,1	146,1	15,0
70133	საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება	52.4	0.0	0.0	0.0	161,1	146,1	15,0

7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	0.0	98.6	0.0	98.6	0,0	0,0	0,0
702	თავდაცვა	94.5	321.3	0.0	321.3	100,0	0,0	100,0
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	282.0	0.0	0.0	0.0	310,6	0,0	310,6
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	0.0	321.3	0.0	321.3	0,0	0,0	0,0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	282.0	3,156.9	3,139.4	17.5	310,6	0,0	310,6
704	ეკონომიკური საქმიანობა	5,217.3	894.0	882.5	11.5	3 514,3	3 424,3	90,0
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	885.6	894.0	882.5	11.5	900,4	895,4	5,0
70421	სოფლის მეურნეობა	885.6	1,396.6	1,390.6	6.0	900,4	895,4	5,0
7045	ტრანსპორტი	1,929.6	1,396.6	1,390.6	6.0	1 040,9	955,9	85,0
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	1,929.6	866.3	866.3	0.0	1 040,9	955,9	85,0
705	გარემოს დაცვა	496.0	1,159.4	563.4	596.0	700,0	0,0	700,0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	496.0	596.0	0.0	596.0	700,0	0,0	700,0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	381.8	621.4	181.4	440.0	1 153,5	893,5	260,0
7061	ბინათმშენებლობა	22.7	151.4	141.4	10.0	250,3	115,3	135,0
7063	წყალმომარაგება	0.0	0.0	0.0	0.0	778,2	778,2	0,0
7064	გარე განათება	114.3	130.0	0.0	130.0	125,0	0,0	125,0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	244.8	340.0	40.0	300.0	0,0	0,0	0,0
707	ჯანმრთელობის დაცვა	100.3	86.0	0.0	86.0	270,0	0,0	270,0
7072	ამბულატორიული მომსახურება	20.3	6.0	0.0	6.0	170,0	0,0	170,0
70721	ზოგადი პროფილის ამბულატორიული მომსახურება	20.3	6.0	0.0	6.0	170,0	0,0	170,0

7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	80.0	80.0	0.0	80.0	100,0	0,0	100,0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	811.3	875.7	0.0	875.7	1 126,0	0,0	1 126,0
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	406.5	440.8	0.0	440.8	605,0	0,0	605,0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	381.0	391.0	0.0	391.0	496,0	0,0	496,0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	23.8	43.9	0.0	43.9	25,0	0,0	25,0
709	განათლება	570.7	845.0	0.0	845.0	1 080,0	0,0	1 080,0
7091	სკოლამდელი აღზრდა	567.8	825.0	0.0	825.0	1 050,0	0,0	1 050,0
7092	ზოგადი განათლება	2.9	20.0	0.0	20.0	30,0	0,0	30,0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	2.9	20.0	0.0	20.0	30,0	0,0	30,0
710	სოციალური დაცვა	340.2	725.5	182.4	543.1	527,0	0,0	527,0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	179.5	559.5	182.4	377.1	380,0	0,0	380,0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	149.4	150.0	0.0	150.0	135,0	0,0	135,0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	11.3	16.0	0.0	16.0	12,0	0,0	12,0
	სულ	10,013.8	10,040.8	4,388.2	5,652.6	11 603,3	5 179,6	6 423,7

მუხლი 10. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო
განისაზღვროს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო –1241.1 ათასი ლარით;

მუხლი 11. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება
განისაზღვროს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 0 ათასი ლარით.

მუხლი 12. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება
განისაზღვროს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება 0 ათასი ლარით;

მუხლი 13. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდი

გაუთვალისწინებელი გადასახდელების მიზნით წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 50.0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1.დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი 178.0 ათასი ლარი მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 80.0 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 98.0 ათასი ლარი;

2. საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი"-ს 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 16. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1.თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)

საგანგებო სიტუაციების (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, მეწყერი და სხვა ბუნებრივი და ტექნოლოგიური ხასიათის სტიქიური უბედურებები) სალიკვიდაციოდ პრევენციის მიზნით აუცილებელია სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის პერსონალის სახანძრო და სამაშველო ტექნიკური ინვენტარით უზრუნველყოფა. ხანძრის ჩაქრობის და სამაშველო ღონისძიებების ორგანიზებისას აუცილებელია პირადი შემადგენლობის ტექნიკური და პროფესიული მომზადების სრულყოფა, სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის შენობის და კომუნალური პირობების გაუმჯობესება, არსებული რესურსებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით სახანძრო და მაღალგამავლობის ავტომობილის შეძენა, რაც აუცილებელია მაშველების ოპერატიული მოქმედებისათვის.

ა) საგანგებო სიტუაციების მართვა (პროგრამული კოდი 02 01)

საგანგებო სიტუაციების (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, მეწყერი და სხვა ბუნებრივი და ტექნოლოგიური ხასიათის სტიქიური უბედურებები) სალიკვიდაციოდ პრევენციის მიზნით აუცილებელია სამსახურის შენობის რეაბილიტაცია და კომუნალური პირობების გაუმჯობესება, არსებული რესურსებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით სახანძრო და მაღალგამავლობის ავტომობილის შეძენა, რაც აუცილებელია მაშველების ოპერატიული მოქმედებისათვის.

ბ) ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 02)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდება: მუნიციპალური გზების და ხიდ-ბოგირების, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების, გარე განათების ქსელის, სკვერების, პარკების, გამწვანების ობიექტების, სანიაღვრე არხებისა და კოლექტორების რეაბილიტაცია, ჩატარდება ნაპირსამაგრი სამუშაოები, მოეწყობა სპორტული მოედნები, დაფინანსდება კეთილმოწყობის სამუშაოები.

ა) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება საცხოვრებელი კორპუსების რეაბილიტაცია, გარე განათების ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება და განხორციელდება უმეთვალყურეოდ დარჩენილი ცხოველების იზოლაცია.

ა.ა) საცხოვრებელი კორპუსების გადახურვა, ფასადების შეღებვა და ტერიტორიების კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მათ შორის ქ. წალენჯიხაში და ქ. ჯვარში არსებული საცხოვრებელი კორპუსების რეაბილიტაციის და მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობის სამუშაოები.

ა.ბ) გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების ქსელის მოწყობის, არსებული ქსელის რეაბილიტაციის, მოვლა-შენახვის და ექსპლოატაციის ხარჯები.

ა.გ) დასუფთავების და კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტის დასუფთავების, უმეთვალყურეოდ დარჩენილი ცხოველების იზოლაციის. მუნიციპალიტეტის ორივე ქალაქის საცხოვრებელი კორპუსების ეზოებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის, ქუჩების, პარკების, სკვერების და სხვა ტერიტორიების ყოველდღიური დაგვა–დასუფთავების ღონისძიებები.

ბ) სასოფლო-სამეურნო მიწის საკადასტრო აზომვითი სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 03)

ქვეპროგრამის ფარგლებსი გათვალისწინებულია წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის საკადასტრო აზომვითი სამუშაოების დაფინანსება.

გ) სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნაპირსამაგრი ჯებირების, ხიდბოგირების და გაბიონების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები.

დ) მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 06)

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქების ქუჩებისა და ტროტუარების აღდგენა, სკვერების პარკებისა და გამწვანების ობიექტების რეაბილიტაცია, შადრევნების მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია, საგზაო ნიშნების და ფეხით მოსიარულეთა ტროტუარების მოწყობა, სადღესასწაულო დღეებისათვის ქალაქის გაფორმება და სხვა ღონისძიებები.

დ.ა) პარკებისა და მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 08 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქ. წალენჯიხის ტერენტი გრანელის სახელობის პარკის რეაბილიტაციის, ქ. ჯვარის ცენტრში პარკის მოწყობის და მუნიციპალიტეტის თემებში ცენტრების კეთილმოწყობის ღონისძიებები.

3.განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ აღზრდას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა და ახალი ბაღების მშენებლობა.

ა) სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ფარგლებში არსებული 32 საბავშვო ბაღის ფუნქციონირებისათვის საჭირო ღონისძიებები. ქვეპროგრამა მთლიანობაში ემსახურება 1200-მდე ბავშვს.

4.კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების სრულად გამოვლინება.

ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

ა.ა) სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ფინანსდება ეროვნულ ჩემპინატში გათამაშებაში მონაწილე პირველი ლიგის გუნდი „სქური". ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება, აგრეთვე, 14 სპორტული წრე, მათ შორის ჭადრაკის, ჭიდაობის, კრივის, კალთბურთის და სხვა, სადაც გაერთიანებულია 250-მდე მოსწავლე.

ა.ბ) ფეხბურთის განვითარების ცენტრი (პროგრამული კოდი 05 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის ცენტრი"-ს დაფინანსება, რომელიც აერთიანებს ბავშვთა 5 საფეხბურთო ჯგუფს და 100-მდე სპორტსმენს. ქვეპროგრამის ძირითადი მიზანი არის ბავშვთა ფეხბურთის განვითარება და ნიჭიერი ფეხხურთელების აღზრდა.

ა.გ) საფეხბურთო კლუბი „სქური“

ქვეპროგრამით გათვალისწინებული საფეხბურთ კლუბი „სქური“–ს განვითარებისა და სტაილური შედეგების მიღწევის ხელშეწყობა

ბ) კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, ასევე, სადღესასწაულო დღეებში ჩატარდება სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

ბ.ა) კულტურის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში სუბსიდიური წესით ფინანსდება ა(ა)იპ ,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“, რომელიც ხელს უწყობს ქართული ფოლკლორის განვითარებას, თანამშრომლობს ხელოვნების სხვადასხვა დარგის მოღვაწეებთან, შემოქმედებით კოლექტივებთან, ცალკეულ ხელოვანებთან, სხვადასხვა დარგის დამსახურებულ მოღვაწეებთან, ატარებს სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებს და უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი კოლექტივების მონაწილეობას სხვადასხვა ღონისძიებებსა და ფესტივალებში. აწყობს სახვითი დეკორატიული-გამოყენებითი და ხალხური შემოქმედების ნაწარმოებების გამოფენას. მომსახურებას უწევს ღირშესანიშნავი თარიღების აღნიშვნას, სახალხო დღესასწაულების აღსანიშნი ღონისძიებების ჩატარებას („გრანელობა“, „ჯარალუა“, „ტარასობა“ და სხვა). კულტურის ცენტრი უზრუნველყოფს ბიბლიოთეკების, მუზეუმების, კლუბების და კულტურის სახლების ფუნქციონირებას. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 21 ბიბლიოთეკა, მათ შორის 1 საბავშვო, 1 ცენტრალური და 19 სათემო. წლის განმავლობაში ბიბლიოთეკები ემსახურება 17 ათასამდე მკითხველს, მათ შორის 1-9 კლასის 4 ათასამდე მოსწავლეს. კოორდინაციას უწევს ტერენტი გრანელის სახელობის მუზეუმს, ეთნოგრაფიულ მუზეუმს, ლეო ქიაჩელის მუზეუმს, აკადემიკოს ტარას კვარაცხელიას სახელობის მუზეუმს. სამუზეუმო კოლექციებში ძირითადად დაცულია მათი ცხოვრების ამსახველი ფოტომასალები და პირადი ნივთები. მუზეუმები სისტემატურად ღებულობენ დამთვალიერებლებს, მათ შორის უცხოელ ტურისტებსაც. მუზეუმებში ჩამოყალიბებულია ახალგაზრდა შემოქმედთა კლუბები, სადაც ტარდება მრავალი საინტერესო კულტურული, სამეცნიერო და შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებები.

ბ.ბ) ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო-საგანმათლებლო ცენტრის“ დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ ,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრი”, რაც გამოიხატება შრომის ანაზღაურების და მიმდინარე ხარჯების სუბსიდირებაში. ცენტრში ფუნქციონირებს სახელოვნებო და საგანმანათლებლო განყოფილება. სახელოვნებო განყოფილებაში ისწავლება ფორტეპიანო, საგუნდო სიმღერა, ვოკალი, ფოლკლორი და მუსიკალური ლიტერატურა. სწავლის ხანგრძლივობაა 6 წელი. ბავშვთა რაოდენობა სახელოვნებო განყოფილებაში შეადგენს 152 აღსაზრდელს. საგანმანათლებლო განყოფილებაში ფუნქციონირებს 13 წრე: ინგლისური ენის, მგალობელთა, ხატვის, ვოკალური, სამეჯლისო, უნარჩვევების, მხატვრული კითხვის, ლიტერატურის, რუსული ენის, თექის, კომპიუტერის შემსწავლელი, თეატრალური და ქორეოგრაფიული წრეები. საგანმანათლებლო განყოფილების წრეებში სწავლობს 160 მოსწავლე. წრეებში სწავლის საფასური არის 5 დან 15 ლარამდე. ცენტრის აღსაზრდელები მონაწილეობენ შიდასასკოლო, რეგიონალურ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონკურსებში, ფესტივალებსა და სხვა ღონისძიებებში. ცენტრი ზრუნავს განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების გამოვლენასა და წარმოჩინებაზე, მათ დახმარებაზე პროფესიული ორიენტაციის ჩამოყალიბებაში, მუსიკალური კარიერის გაგრძელებაში.

გ) ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამის ფარგლებში, შესაბამისი ცენტრების მეშვეობით, დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს უწყობენ ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. პროგრამის ფარგლებში, ასევე, ფინანსდება მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვების სხვადასხვა ღონისძიებებზე მგზავრობის, სტუდენტური დღეების და მხიარული სტარტების ხარჯები.

დ) რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05.04)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე ზოგიერთ ტაძარსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდება მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

5. მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

ა) საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ: საგანმანათლებლო, აღზმრდელობით და საგანმანათლებლო-აღზმრდელობით დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; საგანმანათლებლო, აღზმრდელობით და საგანმანათლებლო-აღზმრდელობით დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაციას და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტ აღრიცხვას, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწას და გაუმჯობესებას; დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივ შემცირებას მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობას და მათზე სწრაფ რეაგირებას, პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებას; არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებისგან ჯანმრთელობის დაცვას მოსახლეობის ინფორმირების გზით.

ბ) ამბულატორიები და პოლიკლინიკები (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამა ითვალისწინებს გადაუდებელი ოპერაციებისას პაციენტების თანადაფინანსებას, C ჰეპატიტით დაავადებულთა და დიალიზზე მყოფ ავადმყოფთა ფინანსურ დახმარებას, ფსიქიკურად დაავადებულ ავადმყოფთა სპეციალურ დაწესებულებაში გადაყვანის ხარჯების დაფინანსებას.

გ) მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 03)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ

ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

გ.ა) სარიტუალო მომსახურება (ომის ვეტერანთა და ლტოლვილთა დაკრძალვის ხარჯები) (პროგრამული კოდი 06 03 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურება, გარდაცვლილი დევნილი მოქალაქის ოჯახზე 100 ლარი, ომის ვეტერანის ოჯახზე 250 ლარი.

გ.ბ) ვეტერანთა საბჭოს საქმიანობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 06 03 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ომის ვეტარანების მორალური და ფინანსური მხარდაჭერის ღონისძიებები.

გ.გ) გაჭირვებულ ოჯახთა ერჯერადი დახმარებები (პროგრამული კოდი 06 03 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: მუნიციპალიტეტში მცხოვრები 100 წლის და 100 წელს გადაცილებული მოქალაქეების მატერიალურ დახმარება, მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოსახლეობისა და პენსიონერი მოქალაქეების ერთჯერადი დახმარება, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა ერთჯერადი დახმარება თითოეულზე 200 ლარის და მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებთან გათანაბრებულ პირთა ერთჯერადი დახმარება თითოეულზე 100 ლარის ოდენობით.

გ.დ) სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფა (უფასო სასადილო) (პროგრამული კოდი 06 03 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: სოციალურად დაუცველი მოსახლეობისა და სხვა უმწეო მდგომარეობაში მყოფი 220 ბენეფიციარის ყოველდღიურად კვებით უზრუნველყოფა, მათ შორის, უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოხუცების კვებით უზრუნველყოფა.

გ.ე) მრავალშვილიანი ოჯახების არასრულწლოვანთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 03 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მრავალშვილიანი (4 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი) ოჯახების მატერიალური დახმარება, თითოეულ ბავშვზე 30 ლარის ოდენობით (158 ოჯახი, 451 ბენეფიციარი);

დ) ვეტერანთა და საომარი მოქმედებების დროს დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი დახმარება (პროგრამული კოდი 06 04)

პროგრამაში გათვალისწინებულია ვეტერანთა და საომარი მოქმედებების დროს დაღუპულთა ოჯახების ერთეჯარიდი დახმარება 500 ლარამდე თანხის ოდენობით თითო ბენეფიციარზე.

ე) სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარება (პროგრამული კოდი 06 05)

პროგრამაში გათვალისწინებულია სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარება ფულადი ან/და მატერიალური ფორმით არაუმეტეს 2000 ლარის ოდენობისა.

თავი III

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

მუხლი 17. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

განისაზღვროს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით თანდართული რედაქციით:

ორგკოდი	დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა			2015 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	10,013.8	10,040.8	4,388.2	5,652.6	11 603,3	5 179,6	6 423,7
	მომუშავეთა რიცხოვნობა	190.0	190.0	0.0	190.0	146,0	0,0	146,0
	ხარჯები	6,924.1	6,599.1	1,283.7	5,315.4	8 093,1	1 834,4	6 258,7
	შრომის ანაზღაურება	1,548.5	1,709.7	0.0	1,709.7	1 442,0	0,0	1 442,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3,089.7	3,441.7	3,104.5	337.2	3 510,2	3 345,2	165,0
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	1,719.7	2,151.0	321.6	1,829.4	2 821,9	861,8	1 960,1
	მომუშავეთა რიცხოვნობა	139.0	139.0	0.0	139.0	139,0	0,0	139,0
	ხარჯები	1,685.0	1,876.3	71.6	1,804.7	2 046,2	146,1	1 900,1
	შრომის ანაზღაურება	1,241.0	1,378.8	0.0	1,378.8	1 382,0	0,0	1 382,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	34.7	274.7	250.0	24.7	775,7	715,7	60,0
01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	403.8	462.9	0.0	462.9	510,0	0,0	510,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	24.0	24.0		24.0	24,0		24,0
	ხარჯები	403.8	462.9	0.0	462.9	510,0	0,0	510,0
	შრომის ანაზღაურება	318.7	358.3	0.0	358.3	382,0	0,0	382,0

01 02	მუნიციპალიტეტის გამგეობა	1,263.5	1,576.5	250.0	1,326.5	2 114,8	715,7	1 399,1
	მომუშავეთა რიცხოვნობა	115.0	115.0		115.0	115,0		115,0
	ხარჯები	1,228.8	1,301.8	0.0	1,301.8	1 339,1	0,0	1 339,1
	შრომის ანაზღაურება	922.3	1,020.5	0.0	1,020.5	1 000,0	0,0	1 000,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	34.7	274.7	250.0	24.7	775,7	715,7	60,0
01 03	სარეზერვო ფონდი	0.0	40.0	0.0	40.0	35,0	0,0	35,0
	ხარჯები	0.0	40.0	0.0	40.0	35,0	0,0	35,0
01 04	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების და სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების თანხები	0.0	0,0	0.0	0,0	1,0	0,0	1,0
	ხარჯები	0.0	0,0	0.0	0,0	1,0	0,0	1,0
01 05	სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ღირებულება	52.4	71.6	71.6	0.0	161,1	146,1	15,0
	ხარჯები	52.4	71.6	71.6	0.0	161,1	146,1	15,0
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	376.5	419.9	0.0	419.9	410,6	0,0	410,6
	მომუშავეთა რიცხოვნობა	51.0	51.0	0.0	51.0	7,0	0,0	7,0
	ხარჯები	376.5	419.9	0.0	419.9	410,6	0,0	410,6
	შრომის ანაზღაურება	307.5	330.9	0.0	330.9	60,0	0,0	60,0
02 01	საგანგებო სიტუაციების მართვა	282.0	321.3	0.0	321.3	310,6	0,0	310,6
	მომუშავეთა რიცხოვნობა	44.0	44.0		44.0	0,0		
	ხარჯები	282.0	321.3	0.0	321.3	310,6	0,0	310,6
	შრომის ანაზღაურება	256.2	276.3	0.0	276.3	0,0	0,0	0,0

02 03	ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა	94.5	98.6	0.0	98.6	100,0	0,0	100,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	7.0	7.0		7.0	7,0		7,0
	ხარჯები	94.5	98.6	0.0	98.6	100,0	0,0	100,0
	შრომის ანაზღაურება	51.3	54.6	0.0	54.6	60,0	0,0	60,0
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	6,095.1	4,937.7	3,884.2	1,053.5	5 367,8	4 317,8	1 050,0
	ხარჯები	3,040.1	1,770.7	1,029.7	741.0	2 633,3	1 688,3	945,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3,055.0	3,167.0	2,854.5	312.5	2 734,5	2 629,5	105,0
03 01	გზების და ხიდების მშენებლობა რეაბილიტაცია მათი მოვლა შენახვა	1,929.6	1,396.6	1,390.6	6.0	1 040,9	955,9	85,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,929.6	1396,6	1390,6	6.0	1 040,9	955,9	85,0
03 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	633.0	1,440.8	704.8	736.0	1 853,5	893,5	960,0
	ხარჯები	633.0	877.4	141.4	736.0	1 055,3	115,3	940,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	563.4	563.4	0.0	798,2	778,2	20,0
03 02 01	საცხოვრებელი კორპუსების გადახურვა, ფასადების შეღებვა და ტერიტორიების კეთილმოწყობა	22.7	151.4	141.4	10.0	250,3	115,3	135,0
	ხარჯები	22.7	151.4	141.4	10.0	230,3	115,3	115,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0	0	0	0	20,0	0,0	20,0
03 02 02	გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	114.3	130.0	0.0	130.0	125,0	0,0	125,0
	ხარჯები	114.3	130.0	0.0	130.0	125,0	0,0	125,0
03 02 03	დასუფთავების ღონისძიებები	496.0	596.0	0.0	596.0	700,0	0,0	700,0

	ხარჯები	496.0	596.0	0.0	596.0	700,0	0,0	700,0
03 02 04	წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	0.0	563.4	563.4	0.0	786,0	786,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	563.4	563.4	0.0	786,0	786,0	0,0
03 03	სასოფლო-სამეურნო მიწის საკადასტრო აზომვითი სამუშაოები	5.0	5.0	0.0	5.0	5,0	0,0	5,0
	ხარჯები	5.0	5.0	0.0	5.0	5,0	0,0	5,0
03 04	ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია	28.3	6.5	0.0	6.5	0,0	0,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	28.3	6,5	0.0	6,5	0,0	0,0	0,0
03 05	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	852.3	882.5	882.5	0.0	895,4	895,4	0,0
	ხარჯები	0.0	22.0	22.0	0	0,0	0,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	852.3	22.0	22.0	0.0	895,4	895,4	0,0
03 08	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	244.8	340.0	0.0	340.0	0	0,0	0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	244.8	340.0	0.0	340.0	0	0,0	0
03 08 01	პარკებისა და მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა	244.8	0,0	0.0	0,0	0	0,0	0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	244.8	0,0	0.0	0,0	0	0,0	0
03 08 02	ქ.წალენჯიხის ინფრასტუქტურის განვითარების ღონისძიებების დაფინანსება	0.0	340.0	40.0	300.0	0,0	0,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	340.0	40.0	300.0	0,0	0,0	0,0

03 09	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება	2,402.1	866.3	866.3	0.0	1 573,0	1 573,0	0,0
	ხარჯები	2,402.1	866.3	866.3	0.0	1 573,0	1 573,0	0,0
04 00	განათლება	570.7	845.0	0.0	845.0	1 080,0	0,0	1 080,0
	ხარჯები	570.7	845.0	0.0	845.0	1 080,0	0,0	1 080,0
04 01	სკოლამდელი განათლების დაფინანსება	567.8	825.0	0.0	825.0	1 050,0	0,0	1 050,0
	ხარჯები	567.8	825.0	0.0	825.0	1 050,0	0,0	1 050,0
04 02	საჯარო სკოლების დაფინანსება	2.9	20,0	0,0	20,0	30,0	0,0	30,0
	ხარჯები	2.9	20.0	0.0	20.0	30,0	0,0	30,0
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	811.3	875.7	0.0	875.7	1 066,0	0,0	1 066,0
	ხარჯები	811.3	875.7	0.0	875.7	1 066,0	0,0	1 066,0
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	406.5	0.0	0.0	0.0	605,0	0,0	605,0
	ხარჯები	406.5	440.8	0.0	440.8	605,0	0,0	605,0
05 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	287.0	310.8	0.0	310.8	460,0	0,0	460,0
	ხარჯები	287.0	310.8	0.0	310.8	460,0	0,0	460,0
05 01 02	ფეხბურთის განვითარების ცენტრი	119.5	0.0	0.0	0.0	145,0	0,0	145,0
	ხარჯები	119.5	130.0	0.0	130.0	145,0	0,0	145,0

05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	381.0	130.0	0.0	130.0	496,0	0,0	496,0
	ხარჯები	381.0	391.0	0.0	391.0	496,0	0,0	496,0
05 02 01	კულტურის ცენტრი	291.0	391.0	0.0	391.0	369,0	0,0	369,0
	ხარჯები	291.0	0.0	0.0	0.0	369,0	0,0	369,0
05 02 02	მუსიკალური სკოლის დაფინანსება	90.0	293.3	0.0	293.3	127,0	0,0	127,0
	ხარჯები	90.0	293.3	0.0	293.3	127,0	0,0	127,0
05 03	ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება	2.7	13.9	0.0	13.9	0,0	0,0	0,0
	ხარჯები	2.7	13.9	0.0	13.9	0,0	0,0	0,0
05 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	21.1	30.0	0.0	30.0	25,0	0,0	25,0
	ხარჯები	21.1	30.0	0.0	30.0	25,0	0,0	25,0
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	440.5	811.5	182.4	811.5	832,0	0,0	832,0
	ხარჯები	440.5	811.5	182.4	811.5	832,0	0,0	832,0
06 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	80.0	80.0	0.0	80.0	100,0	0,0	100,0
	ხარჯები	80.0	80.0	0.0	80.0	100,0	0,0	100,0
06 02	ამბულატორიების, პოლიკლინიკების და ჯანდაცვის სხვა პროგრამები	20.3	6.0	0.0	6.0	170,0	0,0	170,0
	ხარჯები	20.3	6.0	0.0	6.0	170,0	0,0	170,0

06 03	მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა	325.7	508.1	0.0	508.1	452,0	0,0	452,0
	ხარჯები	325.7	508.1	0.0	508.1	452,0	0,0	452,0
06 03 01	სარიტუალო მომსახურება (ომის ვეტერანთა და ლტოლვილთა დაკრძალვის ხარჯები)	8.3	11.0	0.0	11.0	7,0	0,0	7,0
	ხარჯები	8.3	11.0	0.0	11.0	7,0	0,0	7,0
06 03 02	ვეტერანთა საბჭოს საქმიანობის ხელშეწყობა	3.0	5.0	0.0	5.0	5,0	0,0	5,0
	ხარჯები	3.0	5.0	0.0	5.0	5,0	0,0	5,0
06 03 03	სოციალურად დაუცველ ოჯახთა ერთჯერადი და პროგრამული დახმარებები	74.8	217.1	0.0	217.1	130,0	0,0	130,0
	ხარჯები	74.8	217.1	0.0	217.1	130,0	0,0	130,0
06 03 04	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფა (უფასო სასადილოები)	149.4	150.0	0.0	150.0	135.0	0,0	135.0
	ხარჯები	149.4	150.0	0.0	150.0	135.0	0,0	135.0
06 03 05	მრავალშვილიანი ოჯახების არასრულწლოვანთა და ახალშობილთა დახმარება	90.2	125.0	0.0	125.0	160,0	0,0	160,0
	ხარჯები	90.2	125.0	0.0	125.0	160,0	0,0	160,0
06 04	ვეტერანთა და საომარი მოქმედებების დროს დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი დახმარებები	8.0	10.0	0.0	10.0	10,0	0,0	10,0
	ხარჯები	8.0	10.0	0.0	10.0	10,0	0,0	10,0
06 05	სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარება	6.5	207.4	182.4	25.0	80,0	0,0	80,0
	ხარჯები	6.5	207.4	182.4	25.0	80,0	0,0	80.0

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №40

2015 წლის 29 სექტემბერი

„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №14 დადგენილებაში (www.matcne.gov.ge, 30/07/2014, სარეგისტრაციო კოდი: 010250040.35.104.016160) შეტანილიქნეს ცვლილება:

ა) დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის ზოგიერთი მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

ა.ა) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი:
„ვ) მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსათვის თანხმობის მიცემა სხვა თვითმმართველ ერთეულებთან ერთად არასამეწარმეო /არაკომერციული/ იურიდიული პირის შექმნის, მასში გაწევრების ან წევრობიდან გამოსვლის შესახებ;“

ა.ბ) მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „რ“ ქვეპუნქტი:
„რ) ამტკიცებს საკრებულოს აპარატის შინაგანაწესს და აპარატის თანამშრომელთა თანამდებობრივ ინსტრუქციებს, აგრეთვე საკრებულოს აპარატის მოხელეთა დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;“

ა. გ) მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ და „ზ“ ქვეპუნქტები:
„დ) იღებს გადაწყვეტილებებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში და გამგეობაში დაგზავნის, სამართლებრივი აქტის პროექტზე ძირითადი კომისიის (კომისიების) განსაზღვრის, პროექტის განხილვის ვადების და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის სავარაუდო თარიღის შესახებ;
ზ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ რეგლამენტით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს;“

ა.დ) 120-ე მუხლი:
„მუხლი 120.პეტიციის წესით წარდგენილი დოკუმენტის რეგისტრაციისა და განხილვის წესი
1.„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ უფლებამოსილი სუბიექტების მიერ პეტიციის წესით წარდგენილ დოკუმენტებს დაუყოვნებლივ რეგისტრაციაში ატარებს საკრებულოს აპარატი;

2.საკრებულოს აპარატის უფლებამოსილი პირი, პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლის/მომხსენებლების თანდასწრებით, შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე, ამოწმებს პეტიციის წარმდგენი ამომრჩევლების ხელმოწერების კანონით დადგენილი რაოდენობის ნამდვილობას;

3.ბათილია ყველა ხელმოწერა, შესრულებული იმ ფურცელზე, რომელიც არ არის ხელმოწერილი ხელმოწერაზე პასუხისმგებელი პირის მიერ და არ არის დამოწმებული სანოტარო წესით;

4.პეტიციით შეტანილი დოკუმენტის განხილვის პროცედურები განისაზღვრება, მსგავსი ტიპის დოკუმენტის განხილვისათვის, მოქმედი კანონმდებლობითა და ამ რეგლამენტით დადგენილი წესით."

ა. ე) 127-ე მუხლი:

„მუხლი 127. დასახლების საერთო კრება

1.დასახლებაში რეგისტრირებული ამომრჩევლის, ამ დასახლებისა და მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის, გადაწყვეტისა და ინიცირების პროცესში, ქმედითი ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ტარდება დასახლების საერთო კრება.

2.საერთო კრების გამართვის, საერთო კრებაზე საკითხების ინიცირების, მათი განხილვისა და კენჭისყრის გამართვის, საერთო კრების მდივნისა და რჩეულის უფლება -მოვალეობების, აგრეთვე საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად, საერთო კრების საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები განისაზღვრება დებულებით, რომელსაც დადგენილებით ამტკიცებს საკრებულო."

ა. ვ) 131-ე მუხლის პირველ პუნქტი :

„1. საკრებულოს წევრი ,(მათ შორის საკრებულოს თანამდებობის პირიც), ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, საკრებულოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად, წარუდგინოს ანგარიში ამომრჩევლებს."

ა.ზ) 135-ე მუხლი:

„ მუხლი 135. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და თანამდებობის პირების საქმიანობის ამსახველი დოკუმენტების გამოქვეყნება და მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

1.საკრებულოს აპარატი ვალდებულია გამოაქვეყნოს:

ა) ცნობა საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს სხდომის ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის თაობაზე და განსახილველ საკითხებზე დაინტერესებულ პირთა მიერ მოსაზრებების წარდგენის ვადის შესახებ-შესაბამისი სხდომის ჩატარებიდან 7 დღით ადრე მაინც;

ბ) საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს კომისიის სხდომის ოქმები-სხდომის გამართვიდან 10 დღის ვადაში;

გ) ბიუჯეტის პროექტი, ბიუჯეტის პროექტზე გამოთქმულ შენიშვნებზე გამგებლის დასკვნა და ბიუჯეტის შესწორებული ვარიანტი (შესწორების შემთხვევაში)-საკრებულოში წარდგენიდან 3 დღის ვადაში;

დ) ბიუჯეტის შესრულების ანგარიში-საკრებულოში მისი წარდგენიდან 10 დღის ვადაში;

ე) საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიისა და საკრებულოს ფრაქციების დასკვნები ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით-ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 10 დღისა;

ვ) საკრებულოს თანამდებობის პირების მიერ მოქლაქეთა მიღების გრაფიკი-გრაფიკის დამტკიცებიდან 3 დღის ვადაში;

ზ) მოსახლეობის გამოკითხვის შედეგებს-შედეგების შეჯამებიდან 5 დღის ვადაში;

თ) საკრებულოს წევრის მიერ ამომრჩეველთა მიღებისა და შეხვედრის დღეებს, ადგილსა და დროს-მიღებისა და შეხვედრის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე მაინც;
ი) საკრებულოს, საკრებულოს წევრის, საკრებულოს თანამდებობის პირების, საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს კომისიების მუშაობის წლიური ანგარიშები-ანგარიშის წარდგენიდან 10 დღის ვადაში.
კ) მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა-საკრებულოს მიერ მისი დამტკიცებიდან 10 დღის ვადაში;
ლ) მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების გეგმა-მისი დამტკიცებიდან 10 დღის ვადაში;
მ) პეტიცია-მისი რეგისტრაციიდან 10 დღის ვადაში.
ნ) საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 51-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წერილობითი ინიციატივა, მისი საკრებულოს აპარატში რეგისტრაციიდან 10 დღის ვადაში;

ბ) რეგლამენტს დაემატოს:
ბ.ა) 117[1] მუხლი:
„მუხლი 117[1]. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის გარანტიები და ფორმები
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში, გარდა „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით"გათვალისწინებულისა, მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმებია:
ა) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან/და თანამდებობის პირისადმი საჯარო განცხადებით მიმართვა;
ბ) საკრებულოს მიერ ამომრჩეველთა მოსმენის წესი („საკრებულოს ღია კარის სხდომა);
გ) საზოგადოებრივი აზრის შესწავლა და მოსახლეობის გამოკითხვა;
დ) მოქალაქეთა მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელება;".

გ) რეგლამენტიდან ამოღებულ იქნეს მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი.

მუხლი 2.
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **თემურ ღვინჯილია**

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №41

2015 წლის 29 სექტემბერი

„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 ივლისის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 20–ე მუხლის შესაბამისად, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი1.

„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო 2014 წლის **29 ივლისის №15** დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 01/08/2014 წ. სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.104.016161)შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების:

ა) მე–6 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის „ა.თ“ ქვეპუნქტიჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.თ) ამტკიცებს გამგეობის შინაგანაწესს, გამგეობის მოხელეთა თანამდებობრივ ინსტრუქციებს და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;“;

ბ) მე–6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა.ი.“ ქვეპუნქტი:

„ა.ი) განსაზღვრავს და ამტკიცებს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობას.“;

გ) მე–6 მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ.ა) საკრებულოსა და ამომრჩეველს წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1ნოემბრისა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით წარუდგენს ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ;“;

დ) მე–6 მუხლის მესამე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის „გ.ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ.ვ) არაუგვიანეს თებერვლისა საკრებულოს უგზავნის შესყიდვების გეგმის შესაბამისად წინა წელს განსახორციელებელი შესყიდვების შესახებ ანგარიშს, ქმნის სატენდერო კომისიას და ახორციელებს შესყიდვებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.“;

ე) მე–6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.ბ.“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ.ბ) საკრებულოს თანხმობით იღებს გადაწყვეტილებებს: შესაბამისი კერძო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ; საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“

შესაბამისად კერძო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნებაში მონაწილეობისა და მასში გაწევრების შესახებ; მეწარმე იურიდიული პირის წილის/ აქციების შეძენის შესახებ;";

ვ) მე–17 მუხლის მე–5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. მინიმალური და დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვრება გამგებლის სამართლებრივი აქტით.";

ზ) 30–ე მუხლის მე–3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3.გამგეობა თავისი საქმიანობის შესახებ, მოქალაქეთა ინფორმირებულობის უზრუნველყოფის მიზნით, არსებული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი წესით, ვალდებულია გამოაქვეყნოს:

ა)გამგებლის სამართლებლივი აქტები;

ბ) ინფორმაცია გამგეობის სტრუქტურისა და საქმიანობის წესის, გამგეობის თანამდებობის პირების შესახებ;

გ) გამგეობისა და მისი სტრუქტურული ერთეულების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი;

დ) საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელი პირის სახელი,გვარი, თანამდებობა, ელ.ფოსტა, ტელეფონის ნომერი;

ე) ადმინისტრაციული საჩივრის ფორმები/ნიმუშები და ინფორმაცია გასაჩივრების წესის შესახებ;

ვ) გამგეობის სამუშაო გეგმები და ანგარიშები;

ზ) მასალები საჯარო ადმინისტრაციული წარმოების თაობაზე;

თ) ინფორმაცია მუნიციპალური შესყიდვების შესახებ;

ი) მუნიციპალური პროგრამები, ინფორმაცია მათი განხორციელების თაობაზე;

კ) მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი და ადგილობრივი ბიუჯეტი;

ლ) სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომების ოქმები,შესაბამისი სხდომის გამართვიდან 10 დღის ვადაში;

მ) დასახლების საერთო კრების ოქმები, გამგეობის მიერ შესაბამისი სხდომის ოქმის ან მისი ასლის მიღებიდან 10 დღის ვადაში;

ნ) ინფორმაცია დასახლების საერთო კრების დღის წესრიგისა და გამართვის თარიღს,დროისა და ადგილის შესახებ;

ო) მუნიციპალიტეტის გამგებლის ანგარიშები გაწეული მუშაობის შესახებ, შესაბამისი ანგარიშის საკრებულოსთვის წარდგენიდან 10 დრის ვადაში;

პ) სხვა საჯარო ინფორმაცია.".

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **თემურ ღვინჯილია**

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №42

2015 წლის 29 სექტემბერი

„საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 სექტემბრის №44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 სექტემბრის №44 დადგენილებაში (www.matcne.gov.ge, 06/10/2014, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.104.016190) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის:

ა) მე-5 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ზ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის შესყიდვების წლიური გეგმა;“;

ბ) მე-5 მუხლს დაემატოს „კ“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„კ) საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა“ და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული გამოსაქვეყნებლად ან/და საჯაროდ გამოსაცხადებელი ინფორმაცია.“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **თემურ ღვინჯილია**

საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA
5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; tgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა

29 სექტემბერი 2015 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №55

მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

1. დამტკიცდეს მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტის ნუსხა და პრივატიზების გეგმა წარმოდგენილი დანართი N1 და N2 შესაბამისად.
2.განკარგულება ძალაშია კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.
3.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ.ზუგდიდი, გ.ქობალიასქ. 12).

საკრებულოს თავმჯდომარე: თ. ღვინჯილია

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა

დანართი N1

NN	მესაკუთრე	უძრავი ქონების დასახელება	უძრავი ქონების მისამართი	მიწის ფართობი კვმ.	შენობა-ნაგებობის ფართობი კვმ	მიწის (უძრავი ქომების ს/კ
1	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	არა ს/ს დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ჯვარის ადმინისტრაციული ერთეული (ხუდონის უბანი)	150,00		47.15.33.105

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების გეგმა

დანართი N2

N N	საპრივატიზებო ობიექტების დასახელება	მდებარეობა	საყწისი საპრივატიზებო საფასური ლარი	ელექტრონული/საჯარო აუქციონის (უპირობო ან პირობებიანი) ფორმა	ელექტრონული/საჯარო/ აუქციონის შემდგომ მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდის ან/და პერიოდულობის შესახებ
1	150 კვმ არა ს/ს დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ჯვარის ადმინისტრაციული ერთეული (ხუდონის უბანი).	1350,00	უპირობო	ნოემბერი-დეკემბერი